



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბილი ბუქე-
უბი სიფყავა, ცუდილებით და ჭბრებით ბუბ-
თის გაფანა ყულა უჯარბისბაზე უსაბაგლსია.

გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

საქართველო

ხუთშაბათი, 13 იანვარი, 2022 წ. №6 (9344) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

სივარტლას ვერვინ დაეხალაუა!

ორი კელი და ვაშინგტონის კრემლის ვნებანი



ცოტა ხნის წინ პოლიტიკით დაინტერესებული მკითხველის, ანუ ფაქტობრივად მთელი საქართველოს თვალწინ ფარდა ახვადე სამი კარლის (ბილდტი, შარცელი, მიშელი) მიერ შემუშავებულ, მეტად მზაკვრულ კომბინაციას („რეპორტიორი“ — 27.09.2021). მათი გეგმის არცთუ ფარულ მიზანს წარმოადგენდა, არჩევნების წინა პერიოდში როგორმე დაეზიანებინათ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება და მსოფლიოს ისტორიაში ჯერ არნახული, სრულიად უპრეცედენტო ინიციატივით — „საიდან-ღაც“ მოტანილი 43%-ით — „გარდაუვალი“ (მათი გათვლით) პოლიტიკურ ჩიხში მოექციათ მმართველი გუნდი.

„ან აღიარებენ, რომ საქართველო არის სახელმწიფო და სახელმწიფოში კანონი უნდა კანონობდეს, ან ჩვენ მოგვიწევს, მათ ვუწოდოთ კრიმინალების მფარველები“;
„ქართული სახელმწიფო ვერ იტანამშრომლებს იმ აღაშიანებთან, რომლებიც კრიმინალების სასარგებლოდ პოლიტიკური მიკერძოების ბაზო, ამ სახელმწიფოს სახელმწიფოდ არ ცნობენ!“

რომ რაიმე შეეშალოთ. ესენია (შეჩვეული სახელებით რომ მოვიხსენიოთ): „ცერეუ“, „ვაგებე“ და „მოსადი“. ამით იმის თქმა მინდა, რომ ეჭვიც არ უნდა შეგვეპაროს, ჩვენ შესახებ ყველას, (ამ შემთხვევაში აშშ-ის ადმინისტრაციას და ევროპულ ინსტიტუტებს) ყველაფერი ზედმინდებით მოეხსენებათ.

„იქ“ უტყუარად იციან, რომ საქართველოში ავადსახსენებელ პოლიტიკურ პოლარიზაციას მხოლოდ ერთი აქტორი განაპირობებს და ის მრავალ სისტემურ დანაშაულში მხილებული „ნაციონალური მოძრაობაა“. მაშ, რას უნდა ემსახურებოდეს ამ მავნებელური, ქვეყნის დამაზიანებელი სუბიექტის ესოდენი მოფრთხილება (ცვდილობა, სიტყვები შევარჩიო) და უფრო მეტიც, მის სასარგებლოდ ბალანსის შეცვლის მცდელობები? როგორც ბატონი გოგი, ჩემი უკომპრომისო (კარგი გაგებით) მეზობელი იტყვის ხოლმე — იმას, რომ მუდამ ჰქონდეთ ჩავლებული ყურში ხელი. მერე დაამატებს ხოლმე — უფროსი მძისთვის მთავარია მართვის პულტის მუდმივი კონტროლი, რაც იმას ნიშნავს, რომ მისთვის უმცროსი მძის შიდა პრობლემები (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური...) მეორეხარისხოვანია.

№ 2 გვ.

აი, თქვე ყალთახანდებო, გაუგაქარნო ფულითა...



გაუგაქარნო სანდახეული
თაღლითი ყოფილა!

საბჭოეთის 1922 წელი

საბარტველო საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ 1921 წელს დაიპყრო, თუმცა არანაკლებ მძიმე და დრამატული გამოდგა მომდევნო, 1922 წელი, რომელმაც ყველა დაარწმუნა იმაში, რომ ქვეყანამ მრავალი წლით დაკარგა როგორც დამოუკიდებლობა, ასევე დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების მშენებლობის შესაძლებლობა. სწორედ 100 წლის წინ, 1922 წელს ჩაეყარა საფუძველი ყოველივე იმას, რაზეც შემდეგ საქართველოს ოკუპაციის 70 წელი დაუწდა და, რაც 100 წლის შემდეგაც კი, განვითარების ხელის შემშლელ ფაქტორად რჩება.

- დამოუკიდებლობის მომხრე პარტიების დავნა-აპროკალკვა;
- სამხრეთ ოსეთის „ხელ-ოვენი“ ავტონომიის შექმნა;
- აფხაზეთის სტატუსის ხელშეწყობა გათავისებულ საბარტველოს სტატუსთან;
- გაწევის კონფირმაციასთან დაკავშირებული იმედების მსხვერპლი;
- სპანეთის აჯანყების ჩახშობა;
- ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა;
- საბჭოთა კავშირში შესვლა დამოუკიდებელ სუბიექტებაზე ნაკლები უფლებებით.

ასეთია 1922 წელს მომხდარი მოვლენების არასრული ჩამონათვალი, რამაც სამუდამოდ თუ არა, მნიშვნელოვანი დროით მაინც შეცვალა საქართველო.

№ 4 გვ.



აქცევს თუ არა ნატო რუსეთს ალყაში?!



№ 5 გვ.

საზარაძე-ჯაფარიძე-წერეთლის საქმე



„ქართული სასამართლო ყველაზე კუბანური მსოფლიოში“...


თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და სს „თიბისი ბანკის“ კუთვნილი 16 664 000 აშშ დოლარის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე მამუ-

ლების მხარის შეფასებას ჩადენილი დანაშაულის სამართლებრივ კვალიფიკაციაში, რის გამოც, ბრალდებულთა ქმედება დაკვალიფიცირდა თაღლითობის მუხლით, — ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. უწყების ცნობით, ბრალდების მხარე, სასამართლოს დღევანდელ განმარტებულ განმარტებებს კანონით დადგენილ ვადაში სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს. „აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე თითოეულ მსჯავრდებულს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე, თაღლითობის დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, ისინი გათავისუფლდნენ სასჯელის მოხდისგან. საზოგადოებას შეეხებოდა, რომ მამუკა საზარაძეს, ბადრი ჯაფარიძეს და ავთანდილ წერეთელს ბრალდება წარდგენილი ჰქონდათ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით. ბრალდების მხარე სასამართლოს გადამწყვეტილებას კანონით დადგენილ ვადაში სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს“.

ხალხის ფულის მჭამელი თავგები კაპის გამოთხრას აბრკელებენ!

„ბრძოლა ბაზრადიღებდა, მიუხედავად იმისა, რომ საპრობილემო არ მივიღივართ, ჩვენ ამას ვასაჩივრებთ. ეს არის პრინციპის საკითხი, ეს არის ღირსების საკითხი და ესაა იმედის დაბრუნების საკითხი იმ ადამიანებისთვის, რომელთაც ცოტაოდენი იმე-

დავით ქართველიშვილი: მამუკა საზარაძე ხანდაზმული თაღლითი ყოფილა!



არ გამომრიცხავ — ბევრს ჩაუყარდა დღეს კოვზი ნაცარში. სრულიად „გაერთიანებული“ ოპოზიცია ელოდებოდა დღეს თაღლითი ბანკირების დაჭერას. ამაზე ჰქონდათ უკვე აგებული მომდევნო, დღემდე „არნახული“ საპროტესტო ტალღების აგორება, — ასე ეხმაურება ექსპერტი დავით ქართველიშვილი სასამართლოს მიერ გამოტანილ გადამწყვეტილებას საზარაძე-ჯაფარიძის-წერეთლის საქმის შესახებ. „აღარ იშვებოდა საზარაძე-ველარ. ხანდაზმული თაღლითი ყოფილა. ვადაგასული. რომ გითხ-

რათ, დიდად მანაღლებდა წარსულში ფინანსური მაქინაციებით დაკავებული ბანკირის დაჭერა — მოგატყუებთ. ოპერის წინ სარაჯიშვილი დაგაკავებო, მღეროდა — ხომ გახსოვთ? აი, იმ მიზანსცენის განმეორება ვიხილეთ სასამართლოს შენობასთან. არ გამოვიცხავ — ბევრს ჩაუყარდა დღეს კოვზი ნაცარში. სრულიად „გაერთიანებული“ ოპოზიცია ელოდებოდა დღეს თაღლითი ბანკირების დაჭერას. ამაზე ჰქონდათ უკვე აგებული მომდევნო, დღემდე „არნახული“ საპროტესტო ტალღების აგორება. გვარამიას მიერ, „სააკაშვილის“

კობა გვენეტაძე: ინფლაციის მიმდინარე დონე დროებითია!

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, კობა გვენეტაძემ მონაწილეობა მიიღო „ევრომანის“ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ლიდერთა საზოგადოების პირველ შეხვედრაში, რომელიც ვიდუოკონფერენციის ფორმატში გაიმართა. დისკუსიის მთავარი თემა ცენტრალური ბანკების მანდატის განსაზღვრა და სისტემური რისკების მონიტორინგი იყო. კობა გვენეტაძის განცხადებით, ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის მქონე სხვა ბანკების მსგავსად, ეროვნული ბანკის ძირითადი მანდატი საშუალოვადიან პერიოდში ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაა. „ამავე დროს, ჩვენ უნდა უზრუნველყოფოთ ფინანსური სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი შევუწყოთ მდგრად ეკონომიკურ ზრდას ქვეყანაში, ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას ძირითადი ამოცანის შესრულებას“, — განაცხადა დისკუსიის მსვლელობის დროს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა. მისი შეფასებით, მოკლევადიან პერსპექტივაში, ერთჯერადი ევროგენური შოკების გამო, ინფლაცია შესაძლებელია, მიზნობრივი მაჩვენებლიდან გადაიხაროს, რაც ხანდახან, შეცდომით, როგორც ფასების არასტაბილურობა, ისე აღიქმება. „ექვეყნარეშე, რომ პანდემიით გამოწვეულმა ფისკალურმა სტიმულმა, გადავადებული მოთხოვნის გააქტიურებამ და მიწოდების ჯაჭვების რღვევამ გლობალურად ინფლაციური წნეხის ზრდა გამოიწვია. არც საქართველო აღმოჩნდა გამონაკლისი და 2021 წლის მეორე ნახევრიდან ორნიშნა ინფლაცია ფიქსირდება, რის გამოც საქართველოს ეროვნული ბანკი მთელი წლის განმავლობაში მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას ინარჩუნებდა. ეროვნული ბანკის ხელთ არსებული ინსტრუმენტების დროული გამოყენებით, ჩვენ ველოდებით, რომ ინფლაციის მიმდინარე დონე საქართველოში მართლაც დროებითი აღმოჩნდება“, — აღნიშნა კობა გვენეტაძემ.



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აცხადებს ვაკანსიებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად შემდეგ სპეციალობებში:

Table with 2 columns: სპეციალობა (Specialty) and ვაკანსია (Vacancy). Rows include: ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება (1), ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება (1), საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება (1), საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება (1), საქართველოს ეკონომიკა (1), სამართალმცოდნეობა (1), ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება (1), საქართველოს სამხედრო ხელოვნება და არქიტექტურა (1), სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება (1), ჰიდრომელიორაცია (1).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მოღვაწე მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერი, რომელსაც საერთაშორისო დონის წვლილი აქვს შეტანილი მეცნიერების განვითარებაში. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) კანდიდატთა წამოყენების უფლება აქვთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებსა და კერძო ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებს. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატთა მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი საბუთები (ორ ეგზემპლარად): აკადემიის წევრის (წევრების), სამეცნიერო დაწესებულებების, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისა და კერძო ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების წარდგინება სათანადო დასაბუთებით, დამომხმებული წარმდგენის ხელმოწერითა და იმ დაწესებულების ბეჭდით, სადაც იგი მუშაობს, კანდიდატის ავტობიოგრაფია, ფოტო 4/6, სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი, მონაცემები შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (CV), ძირითადი სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები აღინიშნება ვარსკვლავით), დარგის სპეციალისტის მიერ კანდიდატის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება (დოკუმენტები წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე, საჭიროების შემთხვევაში ნოტარიულად დამომხმებული თარგმანი). კანდიდატის პირადობის მოწმობის ასლი, საქართველოში მისი მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა სამუშაო ადგილიდან. საბუთები კანდიდატთა რეგისტრაციისთვის იგზავნება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. განცხადებები მიიღება 2022 წლის 14 თებერვლის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: რუსთაველის გამზ., 52, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (კადრების სამმართველო, IV სართული, ოთახი 409, ტელ. 2 93-29-86). საბუთები მიიღება ყოველ სამუშაო დღეს 11-დან 17 საათამდე. აღნიშნული განცხადება და კანდიდატის მონაცემები (CV) განთავსდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვებგვერდზე (www.science.org.ge), რისთვისაც წარმოდგენილ უნდა იქნეს CV-ის ელექტრონული ვერსია. შენიშვნა: დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია აკადემიის კადრების სამმართველოში. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

